



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 20

2020 წელი 30 ივლისი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვაჟა თავდგირიძისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 43-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” ქვეპუნქტის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. საკრებულოს წევრს ვაჟა თავდგირიძეს საკრებულოში მუშაობაში ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არმონაწილეობის გამო შეუწყდეს უფლებამოსილება.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №30) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნადიმ ვარშანიძე